MES 3 23 0001180643

19/09/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 5 სექტემბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88997004622?pwd=UkdCSG9ITUUwU2FDam9hMDJFMHFiZz09
Meeting ID: 889 9700 4622
Passcode: 927381

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენელი:
ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ზაზა ამირეჯიბი - მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების მენეჯერი
გვანცა გურჩიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი
გიორგი ენუქიძე - „კანიონინგის გამყოლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
გიგა შუბითიძე - „კანიონინგის გამყოლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ბეტო მიქაძე - „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ვალერი ბარბაქაძე - „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ილია ბერულავა - „ალპური მაშველის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
არჩილ ცინცაძე - „ალპური მაშველის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი ბათუმის, ქედისა და შუახევის მისამართზე
გიორგი ფუტკარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი

შპს თაქთაქა
მაია თაქთაქიშვილი - დირექტორი

ნინო ბოკუჩავა - „თმის ვარცხნილობის, შეჭრის და ღებვის ხელოვნების“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
სალომე კუბლაშვილი - სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი

პროფესიულიმომზადებისპროგრამებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამების დარგის ე ქსპერტი:
ვახტანგ ჩიხრაძე
ირაკლი ჟღენტი
ლიანა ლაღიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კანიონინგის გამყოლი“ /01657/ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპური მაშველი“ /01719/ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ /01705/ დაბა შუახევში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს თაქთაქას „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ /01669/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კანიონინგის გამყოლი“ /01657/ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული ორი საკითხი განხილულ იქნა მიმდინარე წლის 24 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე, საბჭომ მოისმინა ექსპერტების შემაჯამებელი პრეზენტაცია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროგრამები მაღალი რისკის შემცველია, საბჭოს წევრებს კითხვის ნიშნები გაუჩნდათ და გადაწყვეტილების მიღების დროს დარწმუნებული რომ ყოფილიყვნენ, რომ სწორად მიიღეს გადაწყვეტილება, დაწესებულებას მიმართეს წინადადებით, მეტი არგუმენტები წარმოედგინათ ამ ორ პროგრამასთან მიმართებაში, დამატებით წარმოედგინათ სხვა ქვეყნის მაგალითები და საერთაშორისო გამოცდილება, ასევე, პროგრამის ხანგრძლივობა, ვინაიდან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კომპეტენტური კადრები არ არის საქართველოში და არც კანონით არ რეგულირდება და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა დამატებითი არგუმენტები შეეძლოთ გაეზიარებინათ საბჭოსთვის. საბჭომ თავის მხრივ მოიწვია დარგის კვალიფიციური ექსპერტი მამუკა ნიკოლაძე, რომელიც, ასევე, გააკეთებს სხდომაზე კომენტარს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ „კანიონინგის გამყოლის“ პროგრამასთან დაკავშირებით დაწესებულება მყარად დგას საკუთარ პოზიციაზე, დარწმუნებულები არიან პროგრამის ეფექტურობაში, ამ პროგრამის შემუშავებაზე დიდი შრომა გაწია დაწესებულებამ, ასევე იმ ორგანიზაციებმა, ვინც ჩართული იყო, ასევე უკვე ნათარგმნი აქვთ უცხოური პროგრამის მეტი წილი, უახლოეს პერიოდში სრულად იქნება თარგმნილი უცხოური პროგრამა, მან დასძინა, რომ კოლეჯის პოზიცია გააცნო საბჭოს და აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე 7 კვირა სავსებით საკმარისია.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს პროგრამის ხარისხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ კითხვები, მან დასძინა, რომ აქ უფრო საუბარი იყო პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.
ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ იმ პირებს, რომლებიც განახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას, თვითონ აქვთ გავლილი ეს კურსი, შესაბამისად მათ აქვთ გამოცდილება, თუ როგორ უნდა ასწავლონ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოსთვის გასაგები იყო დაწესებულების პოზიცია „კანიონინგის გამყოლის“ პროგრამასთან მიმართებაში და თხოვა ესაუბრა „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლის“ პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტთან გაიარეს კონსულტაციები და სრულად იზიარებენ მათ მოსაზრებას, შესაბამისად მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამიდან ამოიღონ სწავლის შედეგი „სამაშველო ოპერაციების ჩატარება მღვიმეში“, პროგრამაში დარჩება მხოლოდ მსუბუქი ფორმულირებით, უნდა შეეძლოს ელემენტარულად პირველადი დახმარების გაწევა დაზარალებულისთვის. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ცალკე გაიტანოს სამაშველო ოპერაციების ჩატარება და წარმოადგინოს ცალკე პროგრამა. მან ასევე აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტის მიერ შემოთავაზებული იქნა ორი ლოკაცია, რაც სასურველი იქნებოდა დაემატებინათ პროგრამაში - ,,ხავერდოვანას'' და ფოთოლცვენას'' მღვიმეები, რაც გაითვალისწინეს და პროგრამას დაემატება 3 კვირა, შესაბამისად პროგრამის ხანგრძლივობა გაიზრდება 6 კვირამდე.
მოწვეულმა დარგის ექსპერტმა მამუკა ნიკოლაძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჰორიზონტალური დაშვება მღვიმეში უფრო ადვილია, თუმცა როდესაც გადადიან ვერტიკალურზე, აქ უფრო რთულდება, შესაბამისად თუ 2 კვირა და აღნიშნული ლოკაციები დაემატება პროგრამას კარგი იქნება.
სამაშველო ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს ცალკე საკითხია და ნამდვილად ცალკე პროგრამად უნდა იქნეს წარმოდგენილი, მან დასძინა, რომ სამაშველო სამუშაოების ჩატარება ნებაყოფლობითია და ვერ დააძალებ პირს ამ პროცესში მიიღოს მონაწილეობა, ვინაიდან არის რისკი, პირმა თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა.
საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რამდენად იყო მისაღები ასეთ სპეციფიკურ პროგრამაზე ისეთი პირების მიღება, რომელთაც არასოდეს არ უმუშავიათ ამ სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულია ფიზიკურად და აქვს მოტივაციაც. ელემენტარული სამუშაო გამოცდილება არ უნდა ჰქონდეს, თუ მცდარია მისი წარმოდგენა.
მამუკა ნიკოლაძემ განაცხადა, რომ ნებისმიერი გიდი, ვერც სამკვირიანი და ვერც შვიდკვირიანი სწავლების შემდეგ ვერ იქნება კვალიფიციური, თუ წელიწადში ერთხელ მაინც არ გაივლის ტრენინგებს, ვინაიდან თუ ერთი წელი ამ საქმეს არ გააკეთებს გიდი, შეიძლება დაავიწყდეს, თუმცა სავსებით შესაძლებელია სწავლება იყოს შვიდკვირიანი, მაგრამ პერიოდულად ტრენინგების გავლაც აუცილებელია, შესაბამისად, შესაძლებელია ასეთი პირების სწავლება აღნიშნულ პროგრამაზე. მან დასძინა, რომ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აღჭურვილობის, ინსტრუმენტების მონაცემები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „კანიონინგის გამყოლი“ /01657/ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების,

მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კანიონინგის გამყოლი /01657/ მარტვილის, ტყიბულის, ხელვაჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალიტეტებში არსებულ კანიონებში **(დანართი 1).**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმეში - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპური მაშველი“ /01719/ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
პრეზენტაცია საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 2 აგვისტოს №955379 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ირაკლი ჟღენტმა დისტანციურად შეისწავლეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ალპური მაშველი'' განხორციელების

უფლების მოპოვების განაცხადი, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ალპური მაშველი'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადის დისტანციურად შესწავლის დროს გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. შეხვედრა წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

სალომე ქუთათელაძემ პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით არის მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 35 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20. პროგრამა განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა რეკომენდაციები 1.2 და 1.4 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით,

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს

პროგრამის დასახელებაში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა, პროგრამის სახელწოდებად მითითებულია ,,აპლური მაშველი'' მიზანშეწონილია გასწორდეს და ჩაიწეროს ,,ალპური მაშველი''.

ქვესტანდარტი 1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

რეკომენდებულია, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამაში „ალპური მაშველი“ დაშვების წინაპირობებში დამატებით განისაზღვროს: სამედიცინო დოკუმენტი ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა აპლიკანტის მიერ.

პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია გადაამზადოს სამოყვარულო სამთო ტურიზმით, სამოყვარულო და პროფესიული ალპინიზმით დაკავებული პრაქტიკოსები კვალიფიცირებულ ალპურ მაშველებად; მიაწოდოს ტურიზმის ინდუსტრიას კვალიფიცირებული ალპური მაშველები, რომლებიც მომზადებულები არიან ტექნიკურად და მუდმივად მზად არიან მოახდინონ სწრაფი რეაგირება მთის რთულ რელიეფზე სამაშველო ოპერაციის ჩასატარებლად წლის სამი სეზონის განმავლობაში; პროგრამა არ მოიცავს ისეთი კომპეტენციების სწავლებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ალპურ მაშველს იმუშაოს მაშველად ზამთრის სეზონზე. სამაშველო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის დადგომისას, ალპურ მაშველებს შეეძლებათ იმოქმედონ დამოუკიდებლად და მოთხოვნის შემთხვევაში სახელმწიფო სამაშველო სამსახურებთან კოორდინაციაში.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

პროგრამის ხანგრძლივობა 35 კვირაა, რომელიც მოიცავს 1392 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა 32-40 საათი. სწავლება ხორციელდება კლდოვან და ალპინისტურ მარშრუტებზე, მათ მისადგომებზე, რთულ გარემოში და მოითხოვს შესაბამისი უსაფრთხოების ზომების დაცვას. აქტივობების დროს ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/5-ზე.

სწავლება ხორციელდება C გარემოში - საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით. თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით, რომელიც ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ, ელექტრონული სწავლების ფორმით.

მიმდინარე შეფასება ყოველ მეცადინეობაზე განხორციელდება- პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება პროგრამის ბოლო კვირაში, შემაჯამებელი გამოცდით - კომპლექსური სამაშველო ოპერაციის სრული ციკლის დემონსტრირება.
თანამედროვე პროფესიული მოთხოვნებიდან და ალპური მაშველის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ალპინისტი მაშველის გადამზადება ხორციელდება ოთხივე სეზონის განმავლობაში, ექსპედიციურ შეკრებებზე მიმდინარე უწყვეტი სასწავლო პროცესის მეშვეობით.
პროგრამა გათვალისწინებულია მოქმედი მოყვარული და პროფესიონალი ალპინისტებისთვის, ვისაც თავიანთი საქმიანობის ფარგლებში უწევთ სამთო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე პრაქტიკოსი მაშველებისთვის. ის ითვალისწინებს კადრების გადამზადებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შექმნილი პროგრამით.
მსმენელი შეიძლება დასაქმდეს კომერციულ, მოხალისეობრივ ან საჯარო სამაშველო სამსახურში, როგორც რიგით მაშველად, ისე სამაშველო სამსახურის ან გუნდის უფროსად. პოტენციური დამსაქმებლები არიან: სახელმწიფო სამაშველო სამსახური, მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტები, სათხილამურო კურორტები, ტურისტული კომპანიები, ალპური ბანაკები, ალპინიზმის ფედერაცია.
პროგრამა ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

1. პირველადი გადაუდებელი დახმარება;
2. რისკების მართვის და ინციდენტებზე რეაგირების პრინციპები;
3. სხვადასხვა სირთულის სალაშქრო და სამთო მარშუტების დაგეგმვა და გავლა;
4. სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება;
5. სხვადასხვა სათავგადასავლო გარემოში ბეჭდური და ციფრული სანავიგაციო საშუალებებით სვლაგეზის გეგმის შედგენა და გამოყენება.

სალომე ქუთათელაძემ ისაუბრა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ასაკი: 20 წელი, სამუშაო გამოცდილება: 1-წლიანი გამოცდილება, სამზე მეტი ასვლა 2-ე კატეგორიის მთაზე. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით.
კანდიდატის შეფასება ხდება 5 კრიტერიუმის შესაბამისად: ფიზიკური კონდიციის ტესტი; აღჭურვილობა; ტესტირება ტექნიკურ ალპინისტურ უნარებში; მოტივაცია; გამოცდილება; ექსპერტის შეფასება. აპლიკანტი ვალდებულია კურსზე დასაშვებად თან იქონიოს საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა. ასევე აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირები, ცხოვრების და კვების ხარჯები.
სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება C - სასწავლო გარემოში, (ჭიათურის მუნიციპალიტეტი - სოფ. სვერი; ლენტეხის მუნიციპალიტეტი - ზესხოს მასივი; მესტია-ლეჩხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები.)
დაწესებულებას დადებული აქვს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები 4 პარტნიორ ორგანიზაციასთან:
ხელშეკრულების პირობების თანახმად, პარტნიორი კომპანია ,,შპს ალპური კლუბი'' პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისა და თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფს გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილით უზრუნველყოფას და ბანაკის მოწყობისათვის საჭირო ლოგისტიკურ საკითხებში დახმარებას, ასევე, კომპანია ვალდებულია მომსახურების განხორციელების დაწყებამდე შემოწმებული ჰქონდეს ის ინვენტარი, მასალა, ინფრასტრუქტურა რაც უნდა გამოიყენოს მომსახურების განსახორციელებლად, რადგან გამოყენებული მასალა, ინვენტარი, ინფრასტრუქტურა ან მათი შემადგენლობა არ იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში;
,,ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია GMGA'' სკოლასთან ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფს გადამზადების პროგრამის ,,ალპური

მაშველი'' განხორციელებისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციას.
,,შპს მთის გიდების ოფისი'' უზრუნველყოფს მესტიაში საოფისე სივრცის გამოყოფას გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის და შეხვედრებისთვის.
,,ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი'' უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული პირველი სწავლის შედეგის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება'' სწავლებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 7 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებით, სერთიფიკატებით და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. მომზადების პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია სასწავლო ლიტერატურა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებით გაირკვა, ამ დარგის მიმართულებით ქართულ ენოვანი სახელმძღვანელოები არ არსებობს, ამიტომ, დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე და დაბეჭდილი, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ შეკითხვები არ ჰქონდა ამ პროგრამასთან დაკავშირებით და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდათ მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო გადაწყვეტილებაში ასახულ ლოკაციას - „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ჭაუხი და მყინვარწვერი“ და დასძინა, რომ ელ. სისტემაში დაწესებულებას ჰქონდა არასწორად დამატებული ეს ლოკაცია და მიმართა საბჭოს წევრებს გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართში განხორციელებულიყო ცვლილება, ამოეღოთ აღნიშნული ლოკაცია, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებიდან ამოიღებდნენ აღნიშნულ ლოკაციას/განხორციელების ადგილს.
საბჭოს წევრი ნატო მებურიშვილი დაინტერესდა, რა განსხვავება იყო ალპურ მაშველსა და სამთო გამყოლს შორის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ალპური მაშველი მხოლოდ სამ სეზონზე მუშაობს (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა), მას არა აქვს უფლება ზამთრის სეზონზე მუშაობის.
მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ შეიძლებოდა ერთი და იგივე პირს ემუშავა ზამთარშიც და სხვა სეზონებზეც, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ ისწავლის, რა თქმა უნდა ზამთრის სეზონზეც შეეძლება მუშაობა, მან განმარტა, რომ ზამთრის სეზონზე სხვა უნარები არის საჭირო.
ნინო ველთაური დაინტერესდა, მუშაობა სეზონებზეა დამოკიდებული, თუ რელიეფის სირთულეზე და სიმაღლეზე, რაზეც ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ დამოკიდებულია

რელიეფის სირთულეზეც და სიმაღლეზეც, მან დასძინა, რომ ალპურ მაშველს არ ექნება უფლება განახორციელოს სამაშველო სამუშაოები ზამთრის პირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ალპური მაშველი“ /01719/ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 42932985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ალპური მაშველი /01719/ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე **(დანართი 2).**

4. სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ /01705/ დაბა შუახევში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 25 ივლისის №926603 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა გივი დოლიძემ 2023 წლის 3 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,ბლექსიში“, შუახევის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: დაბა შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ.№8, სადაც განხორციელდება აღნიშნული პროგრამა და შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი.
ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი, ასევე შედგა გასაუბრება ორგანიზაციის ხელმძღვანელთან,

ხარისხის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ 2018 წლის ბოლოს კოლეჯის მიერ ,,გაეროს განვითარების პროგრამის" (UNDP) პროექტის ,,ENPARD – 2" მხარდაჭერით მაღალმთიან აჭარაში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვით და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე, 2021 წელს კოლეჯმა შუახევის მუნიციპალიტეტის მისამართზე დაიმატა ,,შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შუახევის მუნიციპალიტეტში იწყება გაზიფიცირების პროცესი, დიდი მოთხოვნაა - ხელით ელექტრო-რკალური შედუღების მცოდნე, კვალიფიციურ კადრებზე.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით ნონა საათაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამაა: ,,ხელით ელექტრო-რკალური შედუღება'', ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 12; პროგრამის განხორციელების ადგილი - დაბა შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ. №8, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება; სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა", ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, (კვირაში 15 საათი, სულ 210 საათი).
წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან - მოამზადოს ხელით ელექტრო-რკალური შემდუღებელი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი კადრი შრომის ბაზარზე და შესძლებს: ხელით ელექტრო-რკალურ შედუღებას სხვადასხვა სივრცულ მდებარეობაში, სამუშაო ნახაზის კითხვას, დეფექტების გამოსწორებასა და შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის შედგენას.
აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს 6 სწავლის შედეგის მიღწევას:

1. ელექტრო-რკალური შედუღების ტექნოლოგიის თავისებურებათა დახასიათება;
2. ჯანმრთელობის დაცვა და რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე;
3. სამუშაო ნახაზის, ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და ტექნოლოგიური რუკის გაცნობა;
4. სამუშაო ადგილის ორგანიზება, აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების შერჩევა და მომზადება;
5. სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ხელით ელექტრო-რკალური შედუღება;
6. შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაციის შედგენა.

პროგრამა განხორციელდება დაწესებულების A და C გარემოში, თითოეული გარემო გათვლილია - 12 მსმენელზე;
დაწესებულებამ განაცხადთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა, რომლის თანახმად დადგინდა, რომ დაბა შუახევის ი. ჭავჭავაძის ქ. №8-ში კოლეჯ „ბლექსის" მფლობელობაში არსებული შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში,
ქვესტანდარტი 1.2 - ჩასწორდეს ინგლისური სახელწოდება და ჩაიწეროს ნაცვლად Electro-arc welding-ისა, (MMA) manual metal arc welding-ით, ვინაიდან პროგრამა ფარავს მხოლოდ ხელით ელექტრო-რკალური შედუღების საკითხებს.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ „ხელით ელექტრო-რკალური შედუღება“ /01705/ დაბა შუახევში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხელით ელექტრო-რკალური შედუღება /01705/ დაბა შუახევში **(დანართი 3).**

5. შპს თაქთაქას „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ /01669/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ნონა საათაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 ივლისის №889343 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ლიანა ლაღიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა 2022 წლის 20 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს თაქთაქაში, ქ. თბილისში, ო. თაქთაქიშვილის ქ. №11-ში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს დარგის ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. ვიზიტი
წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული მომზადების პროგრამა ,,თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება'', ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე -

მე-3; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10 მსმენელი; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ო. თაქთაქიშვილის ქ. №11.
ნონა საათაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. ბოლო ხუთი წლის ბაზრის კვლევების თანახმად სილამაზის მომსახურების დარგები და მათ შორის თმის მომსახურების სპეციალისტი, დასახელებულია ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს შორის. პროფესიის პოპულარობას განაპირობებს მაღალი ანაზღაურება, თვითდასაქმების შესაძლებლობა და ამ ტიპის მომსახურებაზე მომხმარებლის მაღალი მოთხოვნა. სულ უფრო პოპულარული ხდება სილამაზის ინდუსტრიის ეს პროფესიები, ასევე მზარდია ამ სერვისებით მოსარგებლეთა რიცხვი, რაც იწვევს კვალიფიციური სტილისტების მნიშვნელოვან დეფიციტს. დარგში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ქვეყნის სტრატეგიული მიზნები ამ მიმართულებით ადასტურებს, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/ პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თმის მომსახურების სამუშაოების მცოდნე ისეთი პირი, რომელიც თმის შეჭრას, ღებვას და ვარცხნილობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია სწავლის შედეგებით, რომლებიც სრულად და ამომწურავად მოიცავენ პროგრამის შესწავლისთვის აუცილებელ თემატიკას

1. უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესების დაცვა მომსახურების ობიექტზე და მომხმარებელთან
2. სილამაზის მომსახურების ობიექტების და სამუშაო ადგილის ორგანიზება
3. დაბანა/დაბანის წესები და მეთოდები
4. თავის თმიანი ნაწილის დაყოფა ზონებად
5. თმის ზრდისა და დაშვების ანალიზი
6. თმის შეჭრის ხერხები და მეთოდები
7. თმის სპა პროცედურების ჩატარება
8. თმის შეჭრა
9. მარტივი ვარცხნილობების შესრულება
10. ძირითადი ფერების ფორმირება სუბსტრაქტული სქემით
11. პალიტრის წაკითხვა და საღებავების კლასიფიცირება
12. შესაღებად საჭირო პროდუქციის შერჩევა
13. შეღებვა სხვადასხვა საშუალების და ხერხების გამოყენებით
14. ფერის შეცვლა გაღიავების გარეშე
15. თმის გაღიავება
16. თმის ნაწილობრივი შეღებვა (მელირება).

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, პროგრამის საათების სრული რაოდენობაა 300 საათი, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 30 საათია.
პროგრამა სრულად ჩატარდება თმის მომსახურების სასწავლო სახელოსნოში (სალონში), სადაც მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან, როგორც სასწავლო მანეკენებით, ასევე ცოცხალი მოდელებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.
პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის საშუალებით (qms.eqe.ge) გენერირებული ფორმით; პროგრამის დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია: განათლება - საბაზო; მინიმალური ასაკი - 17 წელი; ცნობა - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ორგანიზაციის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 10. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი.
თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებისათვის დაწესებულებაში გამოყოფილია: A/C - სასწავლო გარემო, დაწესებულებას შეუძლია მიიღოს 5-5 მსმენელი ორ ჯგუფად.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის განხორციელების უმეტესი ნაწილი ხორციელდება - A/C - სასწავლო გარემოში, სასწავლო სახელოსნოში (სალონში).
  პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, ორგანიზაციას განსაზღვრული ჰყავს სამი განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა მათი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დადებითად შეფასდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა კომპეტენცია, ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე, დაწესებულებას წარმოდგენილ პროგრამაში მითითებული აქვს როგორც მატერიალური, ასევე ინტერნეტ რესურსი, მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსი გამოიყენონ ადგილზეც, ან საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი მასალა მიიღონ დაბეჭდილი, ან ელ. ვერსიის სახით. გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენელმა და განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ ყველა საჭირო უცხოენოვანი სასწავლო მასალა ითარგმნა და განახლდა თანამედროვე მიდგომების, თუ ტენდენციების გათვალისწინებით, რაც ადაპტირებული ფორმით იქნება შეთავაზებული მსმენელებისთვის.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, საიდანაც დასტურდება, რომ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტი ,,სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ'' მოთხოვნებს.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6, 3.7 ქვესტანდარტები გამოცდილების არ არსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას, დანარჩენი ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დარგის ექსპერტს განემარტათ სწავლის შედეგების რაოდენობასთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგებია 16, ხოლო ხანგრძლივობა არის 10 კვირა,

მიუხედავად იმისა, რომ დასკვნა არის დადებითი. მან დასძინა, რომ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები პირს აძლევს ნაწილობრივ კვალიფიკაციას, რამდენად არის შესაძლებელი 16 სწავლის შედეგის ათ კვირაში სწავლება, ასევე, დაინტერესდა სასწავლო გარემოებით, ხომ არ იყო ცალკე გამოყოფილი სივრცე მსმენელებისთვის, ასევე, როგორ არის ორგანიზებული ეს პროცესი, ვინაიდან ძალიან საპასუხისმგებლო პროგრამაა და თხოვა დარგის ექსპერტს სასწავლო გარემოების სურათების გაზიარება.
ამასთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო ბოკუჩავამ, მან დასძინა, რომ მათი მხრიდან ეს შეიძლება ცოტა თამამი განაცხადი იყოს, თუ როგორ შეიძლება 10 კვირაში განხორციელდეს, თუმცა სწავლის შედეგები დამატებით მოიცავს თემებს თეზისების სახით, დამოუკიდებელი სამუშაო სახით ეძლევათ მსმენელებს, შესაბამისად ზღვრული რაოდენობა ამ ეტაპზე არის - 10 მსმენელი, ანუ მინიმალური რაოდენობა, რომ დააინდენტიფიციროს ორგანიზაციამ, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული პროგრამა.
მან ასევე განაცხადა, რომ მათი სურვილი იყო განსხვავებული სახით შემოსულიყვნენ ბაზარზე, თუმცა ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით ქალის თმის შეჭრა, მამაკაცის თმის შეჭრა, თმის ღებვა და ა.შ. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. ასევე, ორგანიზაციას აქვს განვითარების გეგმა, და იმის მიხედვით, თუ როგორ განხორციელდება ეს პროგრამა ან გაიზრდება კვოტა, ან სხვა პროგრამებსაც შეიმუშავებენ. მან დასძინა, რომ აღნიშნული პროგრამა გათვლილია პრაქტიკულ კომპონენტზე, თეორიული კომპონენტი პროგრამაში ძირითადად თეზისების სახით არის წარმოდგენილი.
საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ სად განხორციელდებოდა სასწავლო პროცესი, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა განხორციელდებოდა სალონში.
მარიკა ზაქარეიშვილმა ამასთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, მსმენელები სალონის დატვირთული მუშაობის დროს იქნებოდნენ ჩართულები პროცესში, თუ ამ პერიოდში არ იმუშავებდა სალონი, რაზეც ნინო ბოკუჩავამ უპასუხა, რომ ორგანიზაციას აქვს დამატებითი ოთახები და შესაძლებელია იქ განხორციელდეს სასწავლო პროცესი, თუმცა როდესაც მსმენელები აკვირდებიან სალონში მუშაობას, ან ჩართული არიან პროცესში, ეს არის სასწავლო მოდელი და არა კლიენტი.
მან ასევე აღნიშნა, რომ შექმნილია მათ მიერ ბაზა, სადაც დარეგისტრირებული არიან პირები, რომელთაც უფასოდ მოემსახურებიან, კერძოდ, სტუდენტები, პენსიონერები და სხვ. თუმცა ორგანიზაციაში არის მანეკენები, რომელზეც შეუძლიათ მსმენელებს იმუშაონ.
მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამაზე მეტი არც ისწავლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო დოკუმენტის სახელს არ იმეორებს აღნიშნული პროგრამა, რამდენად შესაძლებელია 10 კვირაში განხორციელება, მან დასძინა რომ მისთვის მოსაწონია ორგანიზაციის ჰოლისტური მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა დაინტერესდა რამდენად იყო შესაძლებელი აღნიშნულ გარემოში 10 მსმენელის სწავლება.
ნინო ბოკუჩავამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 10 მსმენელის სწავლება მოხდება ორ ჯგუფად, ჯგუფში 5-5 მსმენელის გათვალისწინებით.
მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს, დაედასტურებინა, რომ 16 სწავლის შედეგის მიღწევა ათ კვირაში შესაძლებელია, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ პერიოდში ამ პროგრამის განხორციელება, მან დასძინა, რომ მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, უფრო აღქმადი იქნება ის, თუ როგორ მუშაობს პროფესიონალი და ამის შემდეგ თვითონ შეასრულოს კონკრეტული დავალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თაქთაქას „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ /01669/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თაქთაქას (ს/კ: 405607357) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება /01669/ **(დანართი 4).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:56 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01657	კანიონინგის გამყოლი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	7	ქართული	6	მარტვილის, ტყიბულის, ხელვა-ჩაურის, ცაგერის და ონის მუნიციპალი-ტეტებში არსებული კანიონები

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01719	ალპური მაშველი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	35	ქართული	20	ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. სვერში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზესხოს მასივში, მესტიის მუნიციპალიტეტის ლეჩხირის, ჭალაადის, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01705	ხელით ელექტრო-რკალური შედუღება	პროფესიული მომზადება	მესამე	14	ქართული	12	დაბა შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ. №8

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01669	თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ო. თაქთაქიშვილის ქ. №11